განმარტებითი ბარათი

თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის 28 დეკემბრის № 22 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ინიცირებული პროექტი ეხება თელავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანას, რომლის ძირითადი მოტივი მდგომარეობს სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ღონისძიებების დაფინანსებისათვის თანხების მობილიზებაში, რომლის გათვალისწინებითაც თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი განისაზღვროს 72466.45 ათასი ლარის ოდენობით.

მოხდეს ცვლილება ბიუჯეტის შემოსულობებში:

შემცირდეს გზების კაპიტალური შეკეთების (კოდი 02 01 01) არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 173,955 ათასი ლარით, წარმოქმნილი ეკონომიების გათვალისწინებით;

შემცირდეს გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია/მოწყობის (კოდი 02 03 02) არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 11,7 ათასი ლარით წარმოქმნილი ეკონომიების გათვალისწინებით;

შემცირდეს სოფლის მხარდაჭერის პროგრამით განსახორციელებელი ღონისძიებების (კოდი 02 09) არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 4,671 ათასი ლარით წარმოქმნილი ეკონომიების გათვალისწინებით;

შემცირდეს კულტურის ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობის (კოდი 05 02 02) არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 43,0 ათასი ლარით წარმოქმნილი ეკონომიების გათვალისწინებით;

შემცირდეს ძეგლთა დაცვის ღონისძიებების (კოდი 05 05) არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 27,99 ათასი ლარით წარმოქმნილი ეკონომიების გათვალისწინებით;

გაიზარდოს სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაციის (კოდი 02 02 01) არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი დამატებით 52,316 ათასი ლარით, სოფელ თეთრიწყლებში სასმელი წყლის ჭაბურღილისათვის ელ. გადამცემი ხაზის მოწყობის სამუშაოების და საზედამხედველო მომსახურებისათვის;

გაიზარდოს სკოლამდელი განათლების დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობის (კოდი 04 02) არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი დამატებით 209,0 ათასი ლარით, ქ. თელავის N1 ბაგა - ბაღის ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოების და საზედამხედველო მომსახურებისათვის.